

17. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 1994 წლის 24 მაისი

საქართველოს პარლამენტის განცხადება

საქართველოს პარლამენტი შეშფოთებას გამოთქვამს აფხაზეთის რეგიონში კონფლიქტის გადაჭრის სამშვიდობო მოლაპარაკების დროს მიღებულ ბოლოდროინდელ დოკუმენტებში დაფიქსირებული მთელი რიგი პუნქტების და გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს გალის მიერ ა.წ. 3 მაისს უშიშროების საბჭოსათვის წარდგენილ მოხსენებაში აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის და საქართველოს სახელმწიფოებრივ მოწყობასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული დებულებების გამო (დანართი 11). მოლაპარაკებათა პროცესის ამგვარი განვითარება და საქართველოში უკანასკნელ ხანს სოციალურ-პოლიკური დაძაბულობის ესკალაცია რეალურ საფრთხეს უქმნის როგორც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ისე მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოებრიობას. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის სამშვიდობო პროცესს. რასაც შეიძლება საომარი მოქმედების ახალი ტალღა მოყვეს კავკასიის რეგიონში.

საქართველოს პარლამენტს აუცილებლად მიაჩნია კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პრო-ცე-სის გაგრძელება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით, მი-ე-საღმება ძალისხმევას კონფლიქტის რეგიონში ლტოლვილთა და ხიზანთა დასაბრუნებლად. ამასთან, სა-ქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესთა თვალსაზრისით უმ-თავრესია საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტა-ტუსის საკითხი, რომლის განსაზღვრის დროს აუცილებლად უნდა გათვალისწინდეს როგორც აფხა-ზე-თის მრავალეროვანი მოსახლეობის უფლება განახორციელოს ავტონომიური სახელმწიფო მმართვე-ლო-ბის ფუნქცია, ისე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის იმ აუცილებელ კომპეტენ-ცი-ა-თა დატოვების საკითხი, რომლებსაც მსოფლიოში აღიარებული სტანდარტთა მიხედვით ემყარება არსებული სახელმწიფო ინსტიტუტები.

საქართველოს პარლამენტი აუცილებლად მიიჩნევს ერთიანი სახელმწიფოს ძირითადი ატრიბუტების საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასთან აფხაზეთის კონსტიტუციის შესაბამისობას, ერთიანი ფულადი სისტემის, საზღვრების, ჯარის, საგარეო პოლიტიკის ცენტრალური ხელისუფლების კომ-პეტენციაში დატოვებას. ხოლო ადამიანის უფლებათა დეცვის,

ეკოლოგიის და საერთო კომპეტენციაში შემავალი მთელი რიგი საკითხების მკვეთრად გამოიჯენას.

კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ რა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების იმედს, საქართველოს პარლამენტი, როგორც საქართველოს მოსახლეობის ნების გამომხატველი ერთადერთი ლეგიტიმური ორგანო, აცხადებს, რომ იგი არ დაუშვებს ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლას, და რომ ნებისმიერი შეტანხმება, რომელიც ხელყოფს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სახელმწიფო სუვერენიტეტს სრულიად საქართველოს მოსახლეობის ნების გამოუხატავად, ცაითვლება იურიდიული ძალის არმქონედ.

თბილისი, 1994 წლის 24 მაისი

(საქართველოს პარლამენის უწყებები, # 18, 1994, გვ. 98-99)